პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 18 აპრილი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი მხედარი

№ 479 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელ. № 1-40.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების გარშემო.

ინგლისის პრესის ფურცლებზე გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს ინგლის საბჭოთა მოლაპარაკების გარშემო. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვალების და პრეტენზიების საკითხი. რეაქციონურ ფინანსიური ბურჟუაზია მეტის მეტად აღშფოთებულია საბჭოთა დელეგაციის პოზიციით ამ საკითხში. ლონდონის ბანკირები გაბრაზებული არიან საბჭოთა კავშირის მიერ კონტრ-ანგარიშების და კონტრ-პრეტენზიების წამოყენებით და თავის გესლს ანთხევენ ჩვენს წინააღმდეგ. მათი აზრით საბჭოთა დელეგაციის კონტრ პრეტენზიები სრულიად უნიადაგოა და უსაფუძვლო.

საერთოდ კონსერვატიული პრესა მეტად მტრულად იხსენიებს საბჭოთა დელეგაციას, ინგლისის ფინანსიური ბურჟუაზია ჯერაც ვერ შერიგებია სიმდიდრეების დაკარგვის ფაქტს რუსეთში, რომელიც რუსეთის მუშების ოფლით და შრომით იყო შექმნილი, და ლამობს მათ დაბრუნებას.

სულ სხვა პოზიციას ადგია ლიბერალური პრესა მცირედის გამონაკლისით და მუშათა პარტიის გაზეთები.

ეს უკანასკნელნი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ ფინანსიურ ბურჟუაზიის მტრულ შეურიგებელ პოზიციას და სთვლიან ასეთს დამღუპველად როგორც კონფერენციის ნორმალური მიმდინარეობისათვის, ისე თვით ინგლისისათვის. განსაკუთრებულად ებრძვიან კონსერვატორებს მუშათა პარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც გამოაქვეყნეს თავისი კონტრ-მემორანდუმი იმ ბანკირთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომელთაც წარუდგინეს ცნობილი მემორანდუმი მაკდონალდს.

მუშათა პარტიის გამოჩენილ ლიდერების მემორანდუმი წინააღმდეგ კონსერვატორებისა, საბჭოთა კონტრ-ანგარიშებს სრულიად სამართლიანად და საფუძვლიანად სთვლის.

ასეთია მოკლედ ის დავა, რომელიც სუფევს ინგლისის საზოგადოებრივ წრეებში ვალების და პრეტენზიების საკითხის გამო.

ინგლისის ხალხის უმრავლესობა ღრმად დაინტერესებულია კონფერენციის ნაყოფიერად დასრულებაში და უკმაყოფილოა რეაქციონურ ფინანსიური ბურჟუაზიის საქციელით. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ მაკდონალდის გულის ყური და მთელი ყურადღება მოლაპარაკების დროს იქნება მიმართული არა იმათკენ, ვინც მოითხოვს კაპიტალიზმის რესტავრაციას საბჭოების ქვეყანაში, არამედ მათკენ ვისაც სურს ძმური თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან.

მაკდონალდმა გადადგა პირველი ნაბიჯი, რომ იცნა საბჭოთა კავშირი. მან უნდა გადადგას მეორეც, რომ საბოლოოდ განამტკიცოს მჭიდრო სავაჭრო ეკონომიური კავშირი და მშვიდობიანი, მეზობლური ურთიერთობა საბჭოთა რესპუბლიკებთან.

# რადიო-დეპეშები

— იტალიის მთავრობამ აკრძალა 1-ლი მაისის დღესასწაული.

— ფეიქართა გაფიცვების გამო საქსონიაში დაიხურა 68 საფეიქრო ფაბრიკა.

— ინტერვენციის მიერ დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოებაში შეტანილ პრეტენზიების რიცხვი, როგორც მოელიან, იქნება არა ნაკლები 500.000—სა.

— გაიხსნა სრულიად საკავშირო რკინის გზელთა მე-7-ე ყრილობა, რომელზედაც ითვლება 571 დელეგატი. აქედან 95 პროც. კომუნისტებია.

## ლონდონის კონფერენცია.

### საბჭოთა მთავრობის მტრები განგაშს სცემენ.

ინგლისის კონსერვატიული პრესა ლიბერალური პრესის მონაწილეობით აწარმოებს კამპანიას საბჭოთა დელიგაციის წინააღმდეგ, უმთავრესად საბჭოთა კონტრ-პრეტენზიების შესახებ.

ამ კონტრ-პრეტენზიებს სასაცილოს უწოდებს „დეილი ტელეგრაფი“ და მოჰყავს ლოიდჯორჯის მოხსენება, რომელიც გააკეთა უკანასკნელმა ჰააგაში: „როცა მოკავშირეები გაჰყოლოდა ბოლშევიკების საანგარიშო ფანტასტიურ სისტემას, მაშინ მათ შეეძლოთ წარმოედგინათ უფრო ფართე ანგარიში. 1917 წელში ხომ ბოლშევიკების ღალატის მიზეზი იყო რუსეთის ფრონტის დაშლა, რამაც გამოიწვია ომის გაგრძელება ორი წლით“. მაკდონალდის სიტყვაში გაზეთი ხედავს საბჭოთა დელეგაციის გაფრთხილებას, რათა უკანასკნელი „ნუ აბუნდოვანებს საკითხს“.

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი, მაკ ნეილი „ტაიმსში“ გამოქვეყნებულ წერილში მიუთითებს საფრთხისაკენ, რომ ინგლისის მთავრობა სცდილობს აჩვენოს პრაქტიკული შედეგი საბჭოთა მთავრობის ცნობისა და შესაძლებელია, ის შეცდეს და ყურადღების ღირსად სცნოს საბჭოთა კონტრპრეტენზიები. თუ მთავრობა აღმოჩნდება იმდენად მოუფიქრებელი, რომ სცნოს პრეტენზიების პრინციპიალური კანონიერება, მაშინ შეუძლებელი იქნება განსაზღვრა, ვინაიდან ზარალი რომელიც განიცადა საბჭოთა რუსეთმა ინგლისის მიერ, კოლჩაკის და დენიკინის დახმარების გამო, მეტად დიდია. ბოლშევიკების პრეტენზიები გაუთანასწორდებიან, ან და წააჭარბებენ ინგლისის პრეტენზიებს.

ქვეით მაკ ნეილი ამბობს, რომ მომავალი ინგლისის მთავრობა არ გაიხდის სავალდებულოდ დღევანდელ მთავრობის ნაბიჯებს. მაკ ნეილის გამოსვლას მუშათა წრეები ხსნიან იმით, რომ საბჭოთა მთავრობის მტრების ბანაკში დიდი განგაში სწარმოებს ამ საკითხის გარშემო.

### ოფიციალური ცნობა პირველი სხდომის შესახებ.

გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა ინგლის-რუსეთის სხდომის შესახებ;

15 აპრილს საგარეო საქმეთა სამინისტროში მოხდა კონფერენციის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა პრემიერი მაკდონალდი, შემდეგ თავმჯდომარის ადგილი დაიკავა პანსონბიმ.

სხდომაზე ირჩეოდა პოლიტიკური საკითხები. მიღებულ იქნა აგრეთვე სხვა და სხვა დადგენილებანი კონფერენციის წესრიგის შესახებ, რომლებიც დადებული იყო დიდ ბრიტანეთსა და რუსეთის ძველ იმპერიებს შორის. საკითხი გადაეცა კომისიას წინასწარ განსახილველად, შემდეგი სხდომა დაინიშნა 16 აპრილისთვის.

### საფრანგეთის პრესა კონფერენციის შესახებ.

### საფრანგეთი მზადაა მიჰბაძოს ინგლისს.

საფრანგეთის პრესა არ ათავსებს ინგლის—საბჭოთა კავშირის პირველი სხდომის დაწვრილებითი ანგარიშს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თითქოს რაკოვსკიმ „სიმპატიურად მოეპყრა“ ერთა ლიგას.

„ჟურნალ დე დებას“ ფურცლებზე ოგიუსტ გონენი აცხადებს, რომ საფრანგეთი მზადა განაახლოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან კერძო საკუთრების და მუდმივი სასამართლოს კანონების აღდგენის პირობებში.

## თეზისები სოფლად მუშაობის შესახებ.

(ამხ. კალინინის თეზისები სოფლად მუშაობის შესახებ, დამტკიცებული რკპ-ს ცეკას მიერ).

ნეპის ძირითადმა პოლიტიკამ საგრძნობი გაიმარჯვა აგრეთვე სოფელშიაც:

სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერება და გლეხთა ფართო მასების მდგომარეობა თუმცა ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება საშუალო და წელგამართული მეურნეობა, ხოლო მის გვერდით იზრდება სიღარიბე. ხდება სოფლის დაყოფა. იმავე დროს იზრდება კავშირები, კოლექტივები და ამხანაგობა შეერთებული ძალით მიწის დასამუშავებლად და ინვენტარის შეძენის მიზნით.

საკითხის განხილვის დროს პარტიის მუშაობის შესახებ სოფლად, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცების ამოცანები. სოფლის განვითარებაში აღნიშნულია ორი ხაზი: ერთი კაპიტალისტური, როცა ერთ პოლიუსზე გროვდება კაპიტალი, ხოლო მეორეზე—დაქირავებული შრომა. მეორე განვითარების ხაზი მიდის კოოპერაციისა და სოციალიზმის გზით.

საბჭოთა ხელისუფლება ხელს უწყობს გლეხთა მეურნეობის განვითარებას მეორე მუხლის მიხედვით. ამ საკითხის ძირითადი ხაზი აღნიშნულია ამხ. ლენინის უკანასკნელ წერილში კოოპერაციის შესახებ, სადაც ის ხაზს უსვამს კოოპერაციის გიგანტიურ მნიშვნელობას და ამბობს: „კოოპერაციის გაძლიერება მოსახლეობაში ნეპის ბატონობის დროს არის არსებითად ყველაფერი რაც ჩვენ გვინდა“.

პირველ რიგში აუცილებელი საჭიროა კოოპერატიული დახმარება წვრილ სოფლის მწარმოებელზე. ამ მოსაზრებით საჭიროა საწარმოო კოოპერაციის მუშაობის გაძლიერება. განსაკუთრებით საჭიროა აგრეთვე დახმარება გაეწიოს კავშირთა მეურნეობის უბრალო ფორმების განვითარებას, კრედიტით, საგადასახადო ვალდებულებათა შემცირებით და სხვა. ამასთან საჭიროა აშორებულ იქნას ადმინისტრაციის ჩარევა მათ შინაურ ცხოვრებაში. საჭიროა საშუალება მიეცეს სოფლის მცირე შეძლებულ ელემენტებს მონაწილეობა მიიღონ კოოპერაციაში.

კოოპერაციის მუშაობა შეკავშირებული უნდა იქნას სესხით დამხმარე კომიტეტის მუშაობასთან. უკანასკნელმა უნდა განავითაროს შემდეგი ამოცანების მუშაობა, როგორც მაგალითად: წვრილი კოოპერატივების გაერთიანება მათი მეურნეობის გაძლიერების მიზნით, თვალყურის დევნება მცირე შეძლების მქონე გლეხთა შეღავათებზე, უკანასკნელთა ჩაბმა უბრალო სახის ამხანაგობებში, და სხვა.

საჭიროა გაძლიერებულ იქნას ტყისა და მიწის მუშათა მუშაობა, რომელიც უნდა იქნას დაკავშირებული მომხმარებელ ორგანიზაციებთან.

სესხით დამხმარე კომიტეტთა ორგანიზაცია უნდა გახდეს დამხმარე ორგანიზაციად. კომიტეტების ორგანიზაცია უნდა სწარმოებდეს საარჩევნო საფუძვლებზე. საჭიროა ჩაბმულ იქნას საბჭოთა მუშაობაში სოფლის ინტელიგენცია—აგრონომები დამასწავლებლები, რომლებმაც უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა სოფლის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაში.

პარტიის ახალ გაწვევასთან დაკავშირებით, საჭიროა კვლავ გაიხსნას გლეხთა მიღება პარტიაში მე-12-ე ყრილობის დადგენილების საფუძვლებზე. პარტიაში უნდა იქნან მიღებული ღარიბი გლეხები და საუკეთესო პირები საშუალო შეძლების მქონეთაგან, რომელთაც გაუვლიათ წითელი არმიის სკოლა და მხარს უჭერენ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა კომკავშირელთა მუშაობას სოფლად, მათ უნდა მიიღონ ნამდვილი აქტიური მუშაობა ყოველ საზოგადოებრივ, სოფლის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

საჭიროა ჩაბმულ იქნას საზოგადოებრივ მუშაობაში გლეხი ქალი.

საჭიროა შეფობის განვითარება, ახალ ფორმათა ცდები, როგორც მაგალითად მუშათა საზოგადოება ქალაქისა და სოფლის კულტურულად დაახლოებისათვის.

ტერიტორიალური ჯარების ერთეულები, რომლებშიაც შედიან სოფლის ღარიბები და საშუალო შეძლების მქონენი, უნდა გახდენ ამ უკანასკნელთა ძირითად განმანათლებელ ფაქტორებად.

უნდა მოისპოს ანტირელიგიური ბრძოლები ადმინისტრატიული ზომებით, როგორც მაგალითად ეკლესიების დახურვა და სხვა. ანტირელიგიური პროპაგანდა უნდა სწარმოებდეს ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურად ახსნაგანმარტების გზით.

საჭიროა მუშაობის გაგრძელება სოფლის საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების საქმეში, თანახმად პარტიის მეთორმეტე ყრილობის დადგენილებისა.

საჭიროა ჩაბმულ იქნას საშუალო და მცირე შეძლების მქონე გლეხობა სოფლის სამეურნეო და კულტურულ საბჭოთა ორგანოების მუშაობაში.

# ინგლის-საბჭოთა კონფერენციის გარშემო.

ინგლის-რუსეთის კონფერენციის 16 აპრილის სხდომაზე ირჩეოდა საკითხები კონფერენციის პროგრამის შესახებ. მიზან შეწონილი იქნებოდა, რომ კონფერენცია ამ საკითხებიდან დაიწყებდეს თავის მუშაობას. ამ საკითხის შემდეგი განხილვა მიენდო საორგანიზაციო კომისიას, რომელიც მეორე სხდომისათვის წარმოუდგენს კონფერენციას თავის მოსაზრებებს ამ საკითხების შესახებ.

**„ლიბერალთა პარტიის ფიასკო“.**

ლოიდ ჯორჯმა მიმართა თემთა პალატის ლიბერალურ წევრებს, სადაც დაახასიათა ლიბერალურ პარტიების პოლიტიკა მაკდონალდის მოდგომის საკითხში, როგორც „პარტიის ფიასკო“.

აღდგომის უქმეებზე ლიბერალები ინახულებენ თავიანთ საამომრჩევლო რაიონებს, რათა გაიგონ ამომრჩეველთა პოზიცია, რის შემდეგაც მოხდება ლიბერალური პარტიის კონგრესი. კონგრესზე გადაწყდება საკითხი—უნდა დარჩეს თუ არა მაკდონალდის კაბინეთი უმცირესობაში.

**იმედია, რომ მიღწეულ იქნება შეთანხმება.**

ტრანსპორტელთა კავშირის თავმჯდომარემ რობერტ ვილიამსმა როსტას კორესპოდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მაკდონალდისა და რაკოვსკის სიტყვებიდან როგორც სჩანს მიღწეულ იქნება შეთანხმება.

მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის გამოჩენილმა ლიდერმა მაკსტონმა განაცხადა, რომ ინგლისის სავაჭრო წრეების წარმომადგენლები, რომელთაც სურთ ვაჭრობის განვითარება, მეტ ყურადღებას გამოიჩენენ, ვინემ ისინი რომლებიც ზრუნავენ ვალების ცნობის შესახებ. ამ პირობებში შესაძლებელი იქნება შეთანხმების მიღწევა, რომელი ხელსაყრელი იქნება საბჭოთა კავშირის ინტერესებისათვის.

ლანსბერიმ განაცხადა, რომ რაკოვსკის სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მუშათა პარტიაში და რომ მაკდონალდი ნამდვილ სერიოზული ყურადღებით უცქერის კონფერენციას და იხმარს ყოველგვარ ღონის ძიებასა, რათა უზრუნველყოს კონფერენციის გამარჯვება.

**მაკდონალდი საჰაერო პროგრამის შემცირების შესახებ.**

საჰაერო ფლოტის მინისტრის ყოფილმა ამხანაგმა ლიბერალმა გენერალ სილიმ შეკითხვა შეიტანა თემთა პალატაში—გადასდგამს თუ არა ის ნაბიჯებს საჰაერო შეიარაღების განსაზღვრაში, რომელიც იმ ტემპის მიხედვით, როგორც მიდის დღეს ევროპაში, შეიძლება მიიყვანოს ევროპა იმ კასტროფამდი, რომელიც არ უნახავს ჯერ ქვეყანას.

სილიმ აზრი გამოსთქვა ვაშინგტონის გადაწყვეტილების სასარგებლოდ, რათა ბოლო მოეღოს იმ ქიშპობის ზრდას, რომელიც არსებობს განსაკუთრებით ინგლისსა და საფრანგეთს შორის ორატორი მოითხოვდა პრემიერისაგან ყველა სახელმწიფოების კონფერენციების მოწვევას, და თუ ეს შესაძლებელი იქნება, მხოლოდ ინგლისისა და საფრანგეთის მათი საჰაერო პროგრამის შემცირების მიზნით.

მაკდონალდმა განაცხადა, რომ ის მეტად მოხარული იქნებოდა, რომ შესძლებდეს ამ მხრივ რისამე გაკეთებას, როგორც კი ევროპის დღევანდელი დაბრკოლებანი აცილებული იქნნებიან თავიდან, ბრიტანეთის მთავრობა სერიოზულად განიხილავს საკითხს არამარტო საჰაერო, არამედ ყოველგვარ შეიარაღების საკითხს. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ არ იქნებოეს რამე გაუგებრობა ამ მხრივ ინგლისსა და საფრანგეთს შორის. მეტად სასურველია შეთანხმების მიღწევა, როგორიც იყო მაგალითად ვაშინგტონის.

---

# ბურჟუაზიულ ქვეყნებში

**კომუნისტების დევნა.**

რუმინეთის „ოხრანკა“ განაგრძობს კომუნისტების დევნას. უკანასკნელ დღეებში მარტო ბუქარესტში დააპატიმრეს და გადასცეს სამხედრო პოლიტიკურ სასამართლოს 34 კომუნისტი.

## გერმანია.

**ექსპერტთა კომისიის მოხსენება.**

**გერმანიის მთავრობა ემორჩილება კავშირთა დირექტივებს.**

გერმანიის მთავრობამ დაადგინა გასცეს დადებითი პასუხი სარეპარაციო კომისიის მიერ დასმულ საკითხს, რომ გერმანიას სურს ხელი შეუწყოს სარეპარაციო საკითხის გადაჭრას ექსპერტთა კომისიის მოხსენების საფუძველზე. დადგენილებას ერთხმად დაუჭირეს მხარი გერმანიის სახელმწიფოს ყველა პრემიერებმა, ამათ რიცხვში იმათაც, რომლებიც ემხრობიან მემარჯვენე ორიენტაციას გერმანიის პასუხი იქნება წერილობითი. სარეპარაციო კომისია მოხსენებასთან ერთად გადასცემს მას საკავშირო სახელმწიფოების ექსპერტთა კომისიას, რომლის შემდეგ მოყვება საბოლოო გადაჭრა საკითხის სპეციალურ კონფერენციის შესახებ გერმანიის ექსპერტების მონაწილეობით.

**ნაციონალისტების ორპირული პოლიტიკა.**

დადგენილების მიღებასთან ერთად ნაციონალური პარტიის ლიდერებმა გადასცეს მარკსს წერილობითი პროტესტი მთავრობის სურვილის წინააღმდეგ, შეასრულონ ექსპერტთა წინადადება და მიიღონ ვალდებულება და მოლაპარაკება. პროტესტში ნაციონალისტები ხაზ გასმით აღნიშნავენ, რომ მარკსის მთავრობა არ არის ავტორიტეტული, ვინაიდან მას დარჩენია რამოდენიმე კვირის არსებობა და ის არ სარგებლობს გერმანიის ხალხის უმეტესობის ნდობით.

ნაციონალისტების გამოსვლა ნაკარნახევია საარჩევნო ტაქტიკური მოსაზრებით, რათა დაარწმუნონ ამომრჩევლები, რომ საჭიროა მემარჯვენე ხელისუფლება.

**იუსტიციის მინისტრის გადადგომა.**

გადადგა იუსტიციის მინისტრი ემმინ-გერი—ბავარიის სახალხო პარტიის წევრი, რომელიც გაწვეულ იქნა უკანასკნელის მიერ ცენტრისა და სახალხო პარტიებს შორის მომხდარ კონფლიქტის გამო.

## საფრანგეთი.

**მსგავსად კლასიური ბრძოლისა.**

საფრანგეთის ჩრდილოეთ დეპარტამენტში საარჩევნო კომპანია ატარებს კლასიური ბრძოლის ხასიათს.

გამოქვეყნებულია კონსერვატორების ორი სია, მათ შორის ლუშერისა, რომელსაც მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეები; მუშათა და გლეხთა ბლოკის სია, რომელსაც დიდი თანაგრძნობა აქვს მუშათა მასებში, და სოციალისტური სია, რომელშიაც არ შედის არც ერთი მუშა და რომელსაც მხარს უჭერს ბურჟუაზია.

**გაფიცვები რუანაში.**

ოთხი კვირაა რაც რუანაში გრძელდება მაღაროს მუშათა და ფეიქრების გაფიცვები.

## უნგრეთი.

**ბუდაპეშტის მბეჭდავებმა გაიმარჯვეს.**

დასრულდა ბუდაპეშტის მბეჭდავთა გაფიცვები. სტამბის მეპატრონეები დასთანხმდენ დათხოვნილ მუშების ხელ ახლად მიღებაზე, გრძელდება მოლაპარაკება სამუშაო ხელფასის მომატების გარშემო.

# სხვა და სხვა.

**საბჭოთა რუმინეთის ურთიერთობა.**

**რუმინეთი ენერგიულად ამაგრებს თავის პოზიციას.**

რუმინეთი ერთი მხრით ცდილობს გაამაგროს თავისი პოზიცია ბესარაბიის საკითხში, რისთვისაც აძლიერებს კავშირს საბჭოთა კავშირი სადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებთან, მეორე მხრით ენერგიულად ეწევა არმიის შეიარაღებას, ყიდულობს იარაღს და სამხედრო მასალებს.

**განხეთქილება შეუძლებელია.**

ამერიკის სენატის გადაწყვეტილების გამო იაპონიის იმიგრაციის შესახებ, იაპონიის ელჩი ვენაში აცხადებს, რომ იაპონიასა და ამერიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა შეუძლებელია.

ამერიკის საელჩო თავის მხრივ აღნიშნავს, რომ იაპონია—ამერიკის ურთიერთობის გამწვავება არ არის მართალი.

**იაპონია-ამერიკის კონფლიქტი.**

**იაპონია წავა დათმობაზე.**

გერმანიის პრესა ეხება იაპონია-ამერიკის ურთიერთობის გამწვავების საკითხს იაპონიის იმიგრაციის განსაზღვრასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ იაპონია, რომელიც მეტად დაზარალდა მიწის ძვრისაგან, არ მიიყვანს კონფლიქტს აშკარა ბრძოლამდი და ჰპოვებს გამოსავალს კომპრომისულ გადაწყვეტილებით.

---

# პოლიტიკური კრიზისი ოსმალეთში.

გასული თვის მეორე ნახევარში ოსმალეთში დიდი მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. ოსმალეთის ეროვნულ ყრილობაში გამართულმა კამათმა გამოარკვია, რომ ის ერთსულოვნება, რომელიც აქამდის სუფევდა დიდ ეროვნულ ყრილობაში თითქმის ყველა საკითხების გადაჭრის დროს, დაირღვა. ეროვნულ ყრილობაში თავი იჩინა სხვა და სხვა მიმდინარეობებმა და უმთავრესად ორ მიმართულებათა: მთავრობის მომხრეების და ოპოზიციის შეტაკებამ გამოიწვია პოლიტიკური კრიზისი.

რატომ აქამდის დიდ ეროვნულ ყრილობის არსებობის ოთხი წლის განმავლობაში, არ იყო ოსმალეთში ასეთი კრიზისები და მაინც და მაინც დღეს იჩინა მან თავი?

ნაციონალურ—რევოლიუციონურ მოძრაობის დაწყების დღიდან ვიდრე თითქმის აქამდის ოსმალეთს გარს ერტყა მტერი და ის სასიკვდილო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმით გათამამებული საბერძნეთის ჯარები შესია ოსმალეთის მიწა-წყალს და ანატოლიის გულში შეჭრას ლამობდა. ამ დროს ანგორის მთავრობის ირგვლივ გაერთიანდა ყველა პროგრესიული ელემენტები, რომლებსაც არ სურდათ ევროპის იმპერიალიზმის გამარჯვება. ბრძოლის თუ საგარეო პოლიტიკის საკითხებში ანგორის მთავრობა და დიდი ეროვნული ყრილობა ერთსულოვნად გამოდიოდა. ნაციონალურ მოძრაობის გამარჯვების შემდეგაც, ლოზანის კონფერენციის და სხვა მოლაპარაკების დროს კიდევ იყო მთლიანობა დაცული ეროვნულ ყრილობაში.

მაგრამ გათავდა თუ არა ომები, ოსმალეთმა დასდო ხელშეკ. ევროპასთან და საშუალება მიეცა მშვიდობიან ცხოვრების, სააღმშენებლო მუშაობის დაწყების და საჭირო შეიქნა შიგნით რეფორმები—მაშინვე დაირღვა მთლიანობა ეროვნულ ყრილობის შემადგენლობაში და ყრილობა გაიყო ორ ბანაკათ.

ეროვნულ ყრილობაში თავმოყრილი იყო მრავალი სხვა და სხვა ელემენტები. იქ იყვნენ ფეოდალების, ბეგ-ხანების და სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლები. არც ამ ორ განსაზღვრულ კლასების წარმომადგენელთა შორის იყო სრული თანხმობა. აქაც იყვნენ მემარცხენეები და მემარჯვენეები.

მაგრამ უფრო საგულისხმიერო ის არის, რომ ყველა ამ ჯგუფების ინტერესების დამცველნი იყვნენ ერთ—სახალხო პარტიაში გაერთიანებულნი. სახალხო პარტია, ქემალ-ფაშას მეთაურობით, წარმოადგენდა დიდ ეროვნულ ყრილობაში აბსოლიუტურ უმრავლესობას და მას მეტოქე არავინ ყავდა. **უკანასკნელი კრიზისი სახალხო პარტიაში არსებულ უთანხმოებიდან გამოვიდა და ამისათვის ეს კრიზისი შეიძლება ჩავთვალოთ აგრეთვე როგორც სახალხო პარტიის კრიზისი.**

ეროვნულ ყრილობის და მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო ჯერ კიდევ 1922 წ. როდესაც ოსმალეთში სულთანატი გაუქმებულათ გამოაცხადეს. ის დეპუტატები, რომლებიც ეროვნულ-რევოლიუციონურ მოძრაობას მხარს უჭერდენ უცხოელ მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლაში, სულთანატის გაუქმებას ვერ შეურიგდენ და ცდილობდენ რომ ოსმალეთში შეერჩინათ მართვაგამგეობის ძველი წესი. მაშინ ბრძოლა არ გამწვავებულა და დროებით თითქოს კიდეც შეწყდა. 1923 წლის შემოდგომაზე ოსმალეთში გამოცხადდა რესპუბლიკა, ძველმა უთანხმოებებმა მაშინაც იჩინეს თავი, მაგრამ არა ისეთ სიმკაცრით, როგორც წინათ. მიმდინარე წლის მარტის 3—4 კი ოსმალეთში ხალიფატი გაუქმდა. ხალიფატის გაუქმებას თან მოყვა შინაური რეფორმა. მთავრობის დადგენილების თანახმად ის მიწები და ქონება, რომლებიც წინათ ეკუთვნოდა ხალიფს გამოცხადდა სახელმწიფოს კუთვნილებათ. ამ აქტში ფეოდალებმა დაინახეს მიწის რეფორმის დასაწყისი, თავის ძლიერების დასასრული და მთელი ძალღონით ეკვეთენ მთავრობას. **მაგრამ მაშინ კიდევ ვერ გაბედეს აშკარათ გამოსვლა და თავის სურვილების გამომჟღავნება ოსმალეთის ხალხისათვის, არამედ უცდიდენ შესაფერ დროს, რომელიც მათ მისცემდა საშუალებას თავის სახის დაფარვისას და მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა საშუალებით დაწყებას.**

და ეს დრო დაუდგათ. დიდ ეროვნულ ყრილობაში საკონსტიტუციო კომისიის მიერ, კონსტიტუციის ერთი მუხლის კითხვის დროს, რომელიც შეეხებოდა პრეზიდენტის უფლებებს, გაიმართა დიდი კამათი. საკონსტიტუციო კომისია მოითხოვდა, და მასთან ერთად მთავრობაც, რომ პრეზიდენტს უფლება მისცემოდა მეჯლისის (დიდი ეროვნული ყრილობა) დათხოვნის. ამ დებულებას ჩაკიდა ხელი ოპოზიციამ და გაილაშქრა მთავრობის წინააღმდეგ. ოპოზიციის ლიდერები აცხადებდენ, რომ საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი მუხლი ემუქრება ერის სუვერენობას, რომ ის მიიყვანს განუსაზღვრელ უფლებების აღდგენამდე, რომელიც დაგმო და უკუაგდო ოსმალეთის ხალხმა, რომ ის დასცემს ხალხის უფლების ერთად-ერთ მატარებლის ეროვნულ ყრილობის უფლებებს და სხ. ბოლოს კენჭის ყრის დროს, საკონსტიტუციო კომისიის წინადადებას ხმა მისცა მხოლოდ ორმა, წინააღმდეგ კი—137 ხმამ. ყველა კომპრომისული შესწორებები უარყოფილი იქნა ხმის დიდი უმრავლესობით. შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ მთავრობა უნდა გადამდგარიყო. ოპოზიციის სურვილიც სწორედ ეს იყო. მისი მიზანი იყო თუ მთელი კაბინეტის შეცვლა არა, რამოდენიმე კომისრების გამოცვლა და თავის ხალხის კაბინეტში შეყვანა მაინც.

**ენლანდელმა მთავრობის თავმჯდომარემ ისმეტ-ფაშამ გაილაშქრა** ოპოზიციონერების წინააღმდეგ. მან დასვა პარტიის წინაშე პირადი და მთელი კაბინეტის ნდობის საკითხი. და განაცხადა, რომ მთავრობაში სრული მთლიანობა სუფევს და არ შეიძლება ლაპარაკი ცალკე კომისრების შეცვლაზე. ამის შემდეგ მდგომარეობა შეიცვლა და პარტიულ თათბირზე მთავრობამ გაიმარჯვა—მიიღო 154 ხმა 4 წინააღმდეგ.

მაგრამ მთავრობა მაინც უნდა წასულიყო დიდ დათმობებზე ოპოზიციის წინაშე. სახალხო პარტიის თათბირის შემდეგ გამართულ დიდ ეროვნულ ყრილობის სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლის თანახმად არა პრეზიდენტს, არამედ თვით დიდ ეროვნულ ყრილობას აქვს უფლება თავისი თავის დათხოვნის თუ ამას მოითხოვს ყრილობის დიდი უმრავლესობა. აგრეთვე მიღებული იქნა კონსტიტუციის მუხლი, რომლის ძალით პრეზიდენტს ირჩევენ არა შვიდი წლით, არამედ ოთხი წლით, როგორც ყველა დეპუტატებს.

ამით ფორმალურად კრიზისი მოგვარდა, მაგრამ არც მთავრობის მომხრეები და არც ოპოზიცია არ დარჩენ კმაყოფილი. მთავრობა იმისათვის, რომ მიღებული იქნა თითქმის ოპოზიციის რეზოლიუცია, ოპოზიცია კი იმისათვის, რომ ვერ შესძლო კაბინეტის შეცვლა. **მომავალში კიდევ ბრძოლა და კრიზისები მოელის ოსმალეთს. მაგრამ ეს ბრძოლა უფრო მწვავე იქნება ვიდრე აქამდის იყო.**

**ზეფირ.**




# მესამე ლეგ. წითელ-არმიელების გაშვება უვადო შვებულებაში

(დასასრული)

უნდა აღინიშნოს რომ დემობილიზაცია დიდის ზეიმით ჩატარდა მე-3-მე ლეგიონში, რისთვისაც 1-ლ აპრილს შესდგა კომისია გეგმის გამოსამუშავებლათ, რომელზედაც იყვნენ მოწვეულნი ამხანაგები, როგორც ადგილობრივ, ისე სამოქალაქო ორგანიზაციიდგან, სადაც გამოიმუშავეს სათანადო გეგმა. შვიდ აპრილს საღამოს 6 საათზედ მოხდა საზეიმო სხდომა ლეგიონის თეატრში, სადაც მოწვეული იყვნენ ამხანაგები სამოქალაქო დაწესებულებიდგან და ქუთაისში მდგომ ყველა რუსის ნაწილებიდგან. კრება გახსნა ამხ. ვანო ჯანგელაძემ, პირველ მომხსენებლათ გამოვიდა ამხანაგი მიშა გახოკია, რომელმაც დაახასიათა წითელი არმიის როლი ოქტომბრის რევოლიუციის დაგვირგვინებაში დღევანდელი და მისი მნიშვნელობა. შემდეგი ორატორები მოუწოდებდნენ სახლში მიმავალ წითელ არმიელებს ენერგიულ მუშაობისაკენ სოფ. კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით, რის შემდეგ დაიდგა წარმოდგენა „საკია მუნი“ და კინო სურათები.

ღამის პირველ საათზე წითელ არმიელები მხიარული დაბრუნდნენ ყაზარმებში.

გათენდა რვა აპრილი, ყველა სახლში მიმავალი წითელ არმიელები იყვნენ თავმოყრილი მეორე ათასეულის ეზოში, სადაც იქმნა გამართული საუცხოვო სადილი, ლეგიონის კოოპერატივის ხარჯით. ილაპარაკეს სახლში მიმალ წითელმა არმიელებმა, რომლებიც ფიცსა სდებენ, რომ ყოველივე მათზე დაკისრებულ მოვალეობას საბჭოთა ხელისუფლების მიერ ისინი შეასრულებენ პირნათლათ და გააცხოველებენ მუშაობას სოფლათ. სადილის შემდეგ მათ დაურიგდათ საჩუქრათ პაპიროსები და ვაშლები. დაბოლოს გაიმართა ლეგიონის წითელ არმიელების ძალებით სპორტიული შეჯიბრება, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, როგორც წ. არმიელზედ ისე დამსწრე საზოგადოებაზედ. საღამოს 6 საათზედ ყველა უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელები თავმოყრილი იყვნენ შტაბის ეზოში, სადაც ლეგიონის თავმა და სამკომა მოახდინეს, დათვალიერება შვიდის ნახევარზედ უკვე დაიძრა ჩვენი ლეგიონი სადგურისაკენ, გზაზედ ყოველ ნაბიჯზედ იმის მოქალაქეებისაგან ვაშას ძახილი, ყველა დაწესებულებები ოვაციებით შეხვდა წ. არმიელებს. დაუახლოვდით თუ არა სადგურს გზაში სამხედრო ორკესტრით შამოგვეგება რუსის ნაწილები. მთელი სადგური მორთული იყო ყვავილებით და პლაკატებით. სადგურზე იყო წარმოთქმული სიტყვები ამხანაგებისაგან, რის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა რკინის გზის კლუბში. წარმოდგენის შემდეგ გაისმა ძახილი: „დასხედით“, და ყველა სახლში მიმავალ წითელი არმიელები მოთავსდნენ ვაგონში. ღამის პირველ საათზედ დაიძრა მატარებელი, და მთელი ლეგიონის უფპოლიტ შემადგენლობა სადგურის წინ იყო ჩამწკრივებული და უკრავდა გასაცილებელ მარშს, წ. არმიელებისგან ისმის ვაშას ძახილი და სიმღერები. სახლში მიმავალი წითელი არმიელები ინახულა ამხ. აგამალ-ოღლიმ, რომელმაც გადასცა მათ 350 მანეთი. შემოსწირა აგრეთვე ჩვენმა შეფმა ორას ოცი მანეთის წიგნები და ბროშურები რომლებიც დაურიგდათ სახლში მიმავალი წ. ლაშქრელებს გაცილებულთ მე-3-მე ლეგიონიდან. გაუმარჯოს წასულ წითელ არმიელებს, რომლებიც გააძლიერებენ მუშაობას სოფლად! გაუმარჯოს მომსვლელ წითელ არწივებს რომლებიც შეამსებენ მათ რიგებს.

**შრომის შვილი.**

# დარჩენილი ნაწილების გავაცილეთ.

ა. წ. 10 აპრილს შესდგა მე-8-ვე გუნდის უვადო შვებულებაში მიმავალ წ. არმიელების საზეიმო კრება, მოხსენება გააკეთა ამავე ლეგიონის სამხკომის თანაშემწე ამხ. ბახიამ. იმან ნათლად აღნიშნა თუ რა გააკეთა ამ ერთი წლის განმავლობაში აღნიშნული გუნდის წ. არმიელებმა და რა უნდა გააკეთონ იმათ, როცა ესტუმრებიან სოფელს ახალ ენერგიით, ახალ აზრებით.

შემდეგ გამოსასალმებელ სიტყვას ეუბნება გუნდის უფროსი ამხ. მამულაშვილი და ამავე გუნდის პოლიტხელი ამხ. ანდღულაძე. საპასუხო სიტყვებით გამოდიან წ. არმიელები ამხ. გრიგოლია და ამხ. შარაშიძე, ისინი თავის სიტყვაში აღნიშნავენ, თუ როგორ მოიქცევიან სოფელში რა ინიციატივას გამოიჩენენ და ბოლოს მადლობას უცხადებენ თავის მასწავლებლებს და ფიცსა სცდებენ დანარჩენი წ. არმიელების წინაშე, რომ ის ცოდნა, რომელიც მიიღეს წითელ ყაზარმაში მოახმარონ ისევ მათი სურვილის გამომხატველს საბჭოთა ხელისუფლებას. მოხსენების შესახებ გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად იქმნა მიღებული: „მოვისმინეთ რა ამხ. ბახიას მოხსენება, უვადო შვებულებაში მიმავალ წ. არმიელების მოვალეობაზე სოფლად.

ჩვენ უვადო შვებულებაში მიმავალი წ. არმიელები ვაცხადებთ, რომ ერთი წლის განმავლობაში დაუღალავ მუშაობის მეოხებით, სრულიად შეგნებული გვაქვს, რომ ჩვენ ვართ დამცველი მუშურ გლეხური დიქტატურისა, რომელიც საფუძველია მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისა. ჩვენ გვესმის, რომ მუშურ გლეხური ხელისუფლება კაპიტალისტების რკალშია მომწყვდეული, მიუხედავათ სხვა და სხვა იურიდიული ცნობებისა და დიპლომატიური თვალთმაქცობის ბურჟუაზიული სახელმწიფოების მხრივ, მაინც მზათ უნდაიყოთ ყოველგვარ შავი ძალების გამოლაშქრებისა წინაამდეგ. ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტების წინაამდეგ ჯერ ბრძოლა არ გათავებულა,—მივდივართ სოფელში მაგრამ ჩვენ არ დავივიწყებთ ჩვენ საყვარელ წ. ყაზარმებს და თუ საჭირო იქნება ისევ ჩვენი რიგებში დაბრუნება, მზათ ვიქნებით პირველ გამოძახილისთანავე ვეკვეთოთ ექსპლოატატორებს. მივდივართ სოფელში რომ შევიტანოთ ახალი აზრები, აღმოვფხვრად ძველი უვარგისი ადათ-ჩვეულებები, რომელსაც ხალხი ყავს სიბნელეში, რითაც უფრო გავამტკიცებთ საბჭოთა ხელისუფლებას. გაუმარჯოს, წ. არმიის დამაარსებელ ამხ. ტროცკის! გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის მთავარ შტაბს 3 კომინტერნს“.

**უბედური ვასილა.**

# სამხედრო პოლიტ-სკოლის ცხოვრებიდან.

პირველი ტრიმესტრი ე. ი. სამი თვის კურსი დამთავრდა მის შემდეგ რაც, რომ სკოლას საფუძველი ჩაეყარა. სამი თვის მეცადინეობის ანალიზმა, გამოცდილების სახით, იმ ფაქტის წინაშე დაგვაყენა რომ იმ პირობებში, რომელშიაც სკოლა არსებობდა იმაზე მეტი გაგვიკეთებია რასაც მოველოდით, გამოცდების შედეგები მცირედი გამონაკლისით კარგია. რა თქმა უნდა ყოველივე ის შედეგია იმ კოლექტიურ შრომის, რომელიც გაწეულია სკოლის უფპოლიტ-შემადგენლობისაგან, ამ შემთხვევაში არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ ის ენერგია რომელიც გამოიჩინა სკოლის უფრ. ამხ. ვარლამ გაბუნიამ. ის როგორც სხვა წითელ არმიის ნაწილებში, დაუფასებელია. მან შექმა ძლიერ რთულ პირობებში ის სკოლა, რომელიც მისცემს ქართ. წით. ლაშქარს საუკეთესო კადრს პოლიტმომუშავებისას.—პირობების სირთულე გამოიხატებოდა შემდეგში: პირველ ხანებში სამეცადინო ოთახი არ მოიპოვებოდა თუ ვიკითხავთ წიგნებს და სხვა საჭირო ინვენტარს, რომელიც მეცადინეობისათვის აუცილებელია ეს ხომ სრულებით არ არსებობდა. აღნიშნულის გასაკეთებლად ამხ. ვარლამ გაბუნიამ დიდი ენერგია დახარჯა და მოაწყო ისე, როგორც შეფერის სკოლას, მართალია მუშაობაში ვხედავთ მცირედ დაბრკოლებებსაც, რომელიც ამოფხვრილი უნდა იქმნეს თანდათანობით. ამხ. ვარლამ გაბუნიას როგორც კურსანტებთან ისე უფშემადგენლობასთან საუკეთესო დამოკიდებულება ქონდა, დღეს ამხ. ვარლამი სცილდება სკოლას, რომელიც კურსანტებში და სკოლის უფშემადგენლობაში იწვევს მწუხარებას. კურსანტები უკანასკნელად ეუბნება მას, რომ „თქვენი ენერგია, რომელიც გამოიჩინეთ სკოლის მოსაგვარებლად და მის ფეხზე დასაყენებლად, წარუშლელი რჩება ჩვენს გონებაში. თქვენ მიერ გადმოცემულ ცოდნით გაგვეფანტა ყოველივე სიბნელენი. მომავალში ცხოვრების ბრმა იარაღი არ ვიქნებით, არამედ ყოველივე შექმნილ პირობებს აღლოს აუღებთ, მარქსისტულ შეგნებით, ყოველივე სე და მასთან ის დარიგებანი, რომელიც თქვენგან მოგვისმენია,—ეს იქნება ჩვენი გზის მაჩვენებელი მომავალ ჩვენი მუშაობის დროს.

**სანტიკურ.**

# უკრაინის სამოქალაქო ომიდან.

(გაგრძელება).

ატამან გრიგორიევის ავანტიურის ლიკვიდაციისა და თვით გრიგორიევის მოკვლის შემდეგ, დაახლოებით ივლისის და აგვისტოს პირველ რიცხვებში, ოდესის მაზრაში, იწყება კოლონისტ ნემცების აჯანყება.

კიევიდან სასწრაფო განკარგულება მოვიდა მობილიზაციის შესახებ.

ჯარში იწვევდენ ყველა იმათ, ვისაც შესრულებული ქონდათ ოცდა ათი წელი.

მობილიზაციას მთავარი ყურადღება ექცეოდა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ და დამკვრელ მუშაობას წარმოადგენდა, რადგან დენიკინი როსტოვიდან უკვე უკრაინაზე მოიწევდა და მახნოს ბრიგადა ფრონტს სტოვებდა.

ოდესის მაზრაში მობილიზაციის ჩასატარებლად კომისიის თავმჯდომარეთ დავინიშნე, წევრებათ მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე და პროფკავშირის წარმომადგენელი. საყარაულო პოლკიდან, რომლის კომანდირი იყო შ. დადიანი გამომიგზავნეს ოცი წითელ არმიელი, ექიმების კომისია და მარინსკში გავემგზავრენით. სამობილიზაციო კომისიის მდივნათ იყო ეხლანდელი ზაკსოვნარკომის მდივანი სტეფანე ლეკიშვილი.

მანდატი, როგორც იტყვიან, ქვას გააპობსო, ისეთი იყო.

მარინსკში სასწავლებლის შენობაში დავბინავდით. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები ვინახულეთ, რომელთაც მანდატი წაუკითხე და ვსთხოვე დამხმარებოდენ ამ საქმეში. მათ გადასწყვიტეს, რომ მეორე დღით მიტინგი მოიწვიონ, რადგან საზოგადოება გულგრილად ხვდებოდა ჯარში გაწვევას, მით უმეტეს, რომ მაშინ პურის მკა იყო.

იმ დღეს ცოტა გამოცხადდა. შესამოწმებელ კომისიაში გამოცხადდენ ათიოდე დედის-ერთა შვილები, რომლებიც კომისიამ გაანთავისუფლა. კომისიამ ამით სამართლიანობის სახელი მოიხვეჭა.

მიტინგზე გამოცხადდა სამი ათასზე მეტი ქალი და კაცი.

ჯერ არა ემჩნეოდა რა და არც ოდესის ჩეკას ჰქონდა არავითარი ცნობები იმის შესახებ, რომ მარინსკი წარმოადგენდა კონტრ-რევოლიუციონერთა ბანაკს და აჯანყებისათვის მზად იყო, თორემ ამ ხიფათის თავიდან აშორება შეიძლებოდა.

სამხედრო კომისარიატის მიერ მარინსკი მთავარ პუნქტად იყო დანიშნული.

ჯერ მიტინგი გახსნილი არ იყო, რომ თავმოყრილმა ხალხმა იგრიალა და შეესიენ წითელ არმიელებს, რომლებიც ჩვენ გვახლდა, განაიარაღეს და ზოგიერთს კიდევაც სცემეს. ჩვენთვის უკვე აშკარა შეიქნა, რომ საქმე ცუდათ იყო. ახალგაზრდები იარაღში ჩასხმულნი გამოჩნდენ და აშკარა წინააღმდეგობაზე გადავიდენ. ხალხის დაწყნარება შეუძლებელი შეიქნა. ყველაფერი აირ-დაირია.

მარინსკის აღმასკომის თავმჯდომარეს უთხარი, რომ რამე ნაირად ტრიბუნაზე ასვლა მოეხერხებია და გამოეცხადებია, რომ ჩემთვის ხალხს სიტყვის თქმის საშუალება მოეცა და მერე რაც უნდოდათ ის ექნათ. მან დიდი ყვირილის შემდეგ ხალხი ცოტათი დააწყნარა.

მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო. სიმხდალე და შიში აღარასფერს გვიშველიდა, იარაღი ყველას ჩამორთმეული ქონდა, და რომც ყველას ჰქონოდა ზედმეტი ბარგი იყო.

უმაღლესი მთავრობის სახელით ხალხს გამოუცხადე: ვისაც არ სურს ჯარში წასვლა დატოვებული იქნება თქო. კომპრომისი თუ იხსნიდა მდგომარეობას, თორემ სხვა არაფერი. ის დანაშაული,—რომელიც მათ ჩაიდინეს, ეპატიებოდათ, თუ წითელ არმიელებს იარაღს დაუბრუნებდენ და ჩვენ ამ ვოლოსტიდან გაგვიშვებდენ.

შემდეგ გერმანულად ილაპარაკა აღმასკომის თავმჯდომარემ.

მიტინგი დაწყნარდა.

ჩვენი მიზანი იყო აქედან რაც შეიძლება საჩქროთ გასვლა და სასწრაფო ზომების მიღება აქ აღმოჩენილ კონტრრევოლიუციის წიინააღმდეგ.

შემდეგ ცალკე მოლაპარაკება გავმართე აღმასკომში ხალხის დელეგატებთან და დავარწმუნე ისინი. რომ თუ მომავალში კარგათ მოიქცეოდენ და ამის მზგავს არაფერს განიმეორებენ, საბჭოთა მთავრობა ამ დანაშაულს მათ აპატიებს.

ყველაფერი ეს დიდ მღელვარებაში ხდებოდა. იმედი აქედან გასვლის არ იყო.

ერთ საათში იარაღი წითელ არმიელებს ჩააბარეს; დაპატიმრებული ექიმები გაანთავისუფლეს. წითელარმიელები კვლავ შეიარაღდენ და მარინსკი დავტოვეთ.

წითელ არმიელებს აღარ ეშორდებოდით, რომელთაც ხალხის გასაგონათ ებრძანათ უსიკვდილოთ იარაღი აღარავისათვის მიეცათ.

ჩვენ რომ სოფელს ვსტოვებდით, ოდესიდან სააგიტპროპო განყოფილებას და ნემცების სექციას გამოეგზავნათ ჩვენდა დასახმარებლად აგიტაცია-პროპაგანდისათვის ნემეც-პროპაგანდისტები ორი მეზღვაური და ერთიც სხვა. ამათ ურჩიეთ უკან დაბრუნება და ჩვენთან წამოსვლა, რადგან ამ მომენტში აქ რაიმეს გაკეთება არ შეიძლებოდა, მაგრამ მათ არ დაგვიჯერეს. ჩვენ ამათ მოვარჯულებთო. ყველა ესენი იმავე დღესვე დაეხოცათ. როდესაც ეს დახოცილები ოდესაში მიმავალ ამხანაგებს ენახათ და ეკითხათ, თუ ვინ არიან ისინი, პასუხათ მიუღიათ, რომ ესენი კონტრრევოლიუციონერებია, დენიკინის მომხრეები და ჩვენ დავხოცეთო.

ასე რომ, უკრაინაში ხშირათ ჩვენს ამხანაგს მოკლავდენ და შემდეგ ასე იტყოდენ დენიკინის აგენტი გვეგონაო. რადგან მაიაკი, რომელიც სამოც ვერსზეა დაშორებული ოდესიდან საიმედო იყო, სადაც პოდპოლიაში ვმუშაობდი და პირველად მე მქონდა ბედნიერება, მაიაკის გასაბჭოებისა გადავწყვიტეთ იქ მისვლა და იქიდან მოქმედება...

(გაგრძელება იქნება)

**თენგიზ ჟღენტი.**

# რაზედ გვწერენ

**სიმართლეა!*)**

გაზეთ „წითელ არმიელის“ № 474-ში მოთავსებულია წერილი სამხედრო პოლიტიკურ სკოლის შესახებ ვილაც „წითელ არმიელის“ ფსევდონიმით. წერილი შეიცავს სრულ ულოგიკობას და ემჩნევა რომ ავტორი ყოფილა გამსჭვალული პირადი უკმაყოფილებით ვიღაცასთან, მაგრამ არც ამ უკმაყოფილებას სარჩული არ ჰქონია.

თავისი წერილით ის ესხმის თავს ამხ. ნადარაიას, რომელიც არაფერ შუაშია. მისი მუშაობა პარტ-სკოლაში ყოველი მხრით დამაკმაყოფილებელია. „წითელ არმიელისთვის“ არავის დაუვალებია და არც არავითარი უფლება ქონდა ჯამი გაეკეთებია სკოლის მუშაობისათვის და თუ თავი შეიწუხა და მიყო ხელი ამ საქმეს მას უნდა შესძლებოდა მისი მიუდგომელი შეფასება. წერილის პირველ ნაწილში ის ახასიათებს სკოლის მუშაობას დადებითად თუმცა აქა-იქ არ ამბობს სიმართლეს, თითქოს სკოლაში ორი ლექტორი მუშაობდეს და დანარჩენი თითქოს არაფერს აკეთებდენ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

ყველა ლექტორები ენერგიულად მუშაობენ. წერილის მეორე ნაწილში ამბობს: ამხ. ს. ნადარაიას დისონანსი შეაქვს ამ მუშაობაში. განა ნაყოფიერი მუშაობა ეწოდება ისეთ მუშაობას, როდესაც რამოდენიმე კაცის ნამუშევარს ანგრევს ერთი პიროვნება?!

თქვენ გსურდათ გეთქვათ, რომ სკოლის მუშაობა დადებითად მიმდინარეობსო, მაგრამ წერილის მეორე ნაწილი, სახელდობრ ის რასაც თქვენ სწერთ ამხ. ნადარაიას შესახებ, სრულიად არღვევს ამას.

ავტორი ამბობს: სკოლის უფროსი თავისი თანაშემწეებით კარგად მუშაობსო, მაგრამ დავიწყებია, რომ სკოლის უფროსს თანაშემწეები კი არ ჰყავს, არამედ თანაშემწე; ნდომებია პატივისცემა სკოლის უფროსისა და მისი თანაშემწისათვის, რომ ისინი კარგად მუშაობენო, მაგრამ შემდეგ ეს თავისი პატივისცემა დაურღვევია, რადგან ის ამბობს, რომ სკოლის მუშაობას ერთი კაცი ანგრევსო. და თუ კი ერთ კაცს ვერაფერი მოუხერხა სკოლის უფროსმა და მისმა თანაშემწემ სადაა აქ მათი კარგი მუშაობა!? „წითელ-არმიელს“ არ ვსთხოვთ ჩვენ ქებას, მაგრამ უნდა გავაფრთხილოთ, რომ თავისი „სიბრძნეების“ გამოსათქმელად კალამს ნუ სტანჯავს და მასთან „წითელი არმიელის“ სახელს ის ნუ ატარებს რადგან ეტყობა მან არ იცის, რა არის და ვინ არის „წითელი არმიელი“.

დროა ყველამ შეაჩეროს ესეთი შეუსაბამო ტიტინი და ყველაზე უწინ კი „სამოზვანეც“ „წითელ-არმიელმა“.

კოწია სერელი.

---

*) რედაქციას მოუვიდა სამხედრო პარტ-სკოლის წითელ არმიელებისაგან რამოდენიმე სარეაბლიტაციო წერილი ამხ. ნადარაიას შესახებ.

# ახალი ამბები

— **1-ლი მაისის დღესასწაულის ჩასატარებლათ.** შაბათს, 19 აპრილს 1 მაისის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია აწყობს თათბირს განათლების მუშაკთა სახლში, მოხსენებას წაიკითხავს ამხ. მარიამ ორახელაშვილი.

— **უპარტიო გლეხთა ყრილობა.** სოფ. დიღომში გაიმართა უპარტიო გლეხთა ყრილობა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. გ. სტურუამ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

— **მისასალმებელი დეპეშა.** სოც. უზრ. კომისარიატმა მიიღო ახალციხის გლეხთა კომიტეტების მესამე ყრილობიდან მისასალმებელი დეპეშა, სადაც ისინი ფიცსა სდებენ რომ მედგრათ დაიცავენ პროლეტარიატის ხელისუფლებას.

— **სეტყვის წინაალმდეგ.** ბათომში მიღებულია მაზხალების დიდძალი პარტია, რომელიც გამოწერილი იყო შინ. მოქმ. კომისარიატის მიერ სეტყვის წინაალმდეგ გამოსაყენებლათ.

— **კბილის საექიმო შორაპანში.** ჯანმრთელობის კომისარიატმა შორაპნის მაზრას უფასოთ გაუგზავნა კბილის საექიმო იარაღები.

— **ბალის გადაცემა დივიზიაზე.** ქალაქის აღმასკომმა ქართულ დივიზიას და კ. ნ. დრ. არმიის პოლიტგანათლებას გადასცა ბაღი „დაისი“.

— **დახმარება უდინებს.** თელავის მაზრის აღმასკომმა გადასცა უდინებს ოთხი გეჯა ფუტკარი.

— **იძულებითი სამუშაოს ბიურო.** თელევში დაარსდა იძულებითი სამუშაოს ბიურო.

## ხელოვნება.

— **ქართული წარმოდგენები პროვინციაში.** რუსთაველის თეატრში სეზონის დასრულების შემდეგ მსახიობთა დასი გაემგზავრება პროვინციაში წარმოდგენების გასამართავათ.

— **„დროშა“** გამოვიდა ჟურნალ „დროშა“-ს მორიგი მე-12 ნომერი.

— **შ. არაგვისპირელის ნაწერები.** სახ. გამომცემლობამ მიიღო გამოსაცემათ შ. არაგვისპირელის მოთხრობები.

— **კინო მრეწველობის სამმართველოში.** კინო მრეწველობის სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვირაპი განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან და მის მაგიერ დაინიშნა ამხ. ავაქოვი.

**დღეს თეატრებში.**

— **ოპერა**—ი. ფალიაშვილის იუბილე.

— **დრამა**—თურქული წარმოდგენა.

— **სახ. სახლი**—ციცინათელა.

— **ცირკი**—საღამოს წარმოდგენა.

# ქართულ დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალში.

— **ხურციძის საქმე.** 1-ლი ლეგიონის წითელი მოლაშქრე ვალერიან სიმონისძე ხურციძე, მსახურებდა მეთაურთა სკოლაში წარსული წლის ნოემბერში. იგი გაიქცა სახლში. შემდეგ იგი თავის ნებით გამოცხადდა ნაწილში, საიდანაც იგი მისცეს პასუხისგებაში და სამსახურის გასაგრძელებლად კი გაგზავნეს 1-ლ ლეგიონში. 16 თებერვალს იგი ხელმეორეთ გაიპარა სახლში. წასვლისას ამხანაგს დასტყუა მაზარა, რომელიც შემდეგ გაყიდა. ერთი თვის შემდეგ კვლავ თავის ნებით დაბრუნდა ნაწილში. დაბრუნებისას მას არ აღმოაჩნდა სახაზინო ტანისამოსი, რომელიც მასზე დროებით სახმარებლათ იყო მიცემული.

აღნიშნული საქმე ტრიბუნალმა გაარჩია ა. წ. 16 აპრილს.

**განაჩენი.**

აღნიშნული ბრალდებები ე. ი. ორჯერ დეზერტირობა და სახაზინო ქონების გაფლანგვა ტრიბუნალმა სცნო დამტკიცებულათ და მიუსაჯა მას სამი წელიწადი გამასწორებელ სახლში მოთავსება და ორმოც და ათი მანეთის ქონების ჩამორთმევა.

თათბირის შემდეგ ტრიბუნალმა მიიღო მხედველობაში ბრალდებულის ავათმყოფობა და სასჯელი შეუცვალა ორი წლის პირობითი სასჯელით და კონფისკაციის ძალაში დატოვებით.

**ორი დეზერტირის საქმე.**

ცალკე საგაუბიცო ბატარეის წით. არმ. ალექსი ჰიტაშვილი და გიორგი იორამიშვილს ა. წ. იანვრის 1-ლ რიცხვებში მოუვიდათ წერილები სახლიდან, რომ პირველს ავათ ყავდა დედა, ხოლო მეორეს დედას კი ბრალდებულის ძმა გამოჰკიდებოდა და სასიკვდილოთ, რის გამოც ქალს მოსვლოდა გულის სიგანივრე და ავათ გამხდარიყო. აღნიშნული ამბების გამო, ბრალდებულნი უნებართვოთ გაიპარნენ სახლში და შემდეგ თავის ნებითვე დაბრუნდნენ. სახაზინო ნივთები, რაც ჰქონდათ ხელზედ აქვთ.

აპრილის 16-ს ტრიბუნალმა გაარჩია რა მათი საქმე მიუსაჯა თითოს თითო წელიწადი გამსახლში მოთავსება და ოც-ოცდა ხუთი მანეთის ქონების ჩამორთმევა.

მაგრამ. რადგანაც აღნიშნული წით. არმ. ყოველთვის პატიოსნათ მსახურობდნენ, ამიტომ სასჯელი შეეცვალათ ორი წლის საცდელი ვადით და კონფისკაციის ძალაში დატოვებით.

**ტალახაძის საქმე.**

სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა 16 აპრილს ქართ. ცხენ. ლეგ. წითელ მოლაშქრე ნიკოლოზ ტალახაძის საქმე. ბრალი ედებოდა სამხედრო ნაწილის თავის ნებით მიტოვებაში, სამსახურის თავიდან აცილების მიზნით.

სასამართლომ გამოძიების დრო გამოარკვია, რომ ბრალდებული ყოფილა ოჯახის ერთად ერთი მარჩენალი და უიმისოდ მისი ოჯახი განიცდიდა დიდ გაჭირვებას. 1923 წ. ნოემბერში მან სთხოვა თავიანთ უფროსებს ნებართვა სახლში წასასვლელად, რადგანაც მიწები დაუმუშავებელი რჩებოდა. უფროსებმა მას არ მისცეს შვებულება და იგი იძულებული შეიქნა გაპარულიყო.

აღნიშნული ქმედობის ჩადენისათვის ტრიბუნალმა მიუსაჯა მას ექვსი თვით გამსახლში მოთავსება და სამი მანეთის ქონების ჩამორთმევა.

მაგრამ ტრიბუნალმა მიიღო მხედველობაში ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და იგი გაანთავისუფლა სამხედრო სამსახურიდან როგორც ოჯახის ერთად ერთი მარჩენალი.

**დანიშნული საქმეები.**

— **დღეს** 18 აპრილს რევტრიბუნალში გაირჩევა ცხენ. ლეგ. წით. მოლაშქრის ალექსანდრე ოსკანოვის საქმე. ბრალდება დეზერტირობა.

— **საარტილერიო დივიზიონიდან.** დღეს დანიშნულია აგრეთვე საარტილერიო დივიზიონის წითელ მოლაშქრე რაჟდენ ივანიძის საქმე. მასაც დეზერტირობა ბრალდება.

— **მესამე ლეგიონიდან.** წითელ არმიელ შაქრო ადუაშვილს და ნიკოლოზ პეტუაშვილს. ბრალდებათ დეზერტირობა. დღეს რევტრიბუნალში ირჩევა მათი საქმე.

# ცეცხლმფრქვევები.

იმპერიალისტურ ომში ნახმარ ბრძოლის საშუალებათა შორის ცეცხლისმფრქვევი ერთ-ერთ საინტერესო საშუალებათაგანია. გერმანელები მას თავდაპირველად დიდის წარმატებით ხმარობდენ. ცეცხლმფრქვევის საშუალებით წარმოებულ იერიშით გერმანელებმა თავზარი დასცეს მოკავშირეთა ჯარს. ამ გვარ იერიშის შესახებ მოგვითხრობენ, რომ პირველ ხაზის ჯარ კედაროზედ მოედო ცეცხლის ალი. მხოლოდ არა სჩანდა, საიდან გაჩნდა ეს ცეცხლი. ჯ.-კაცები ჰხედავდენ გაშმაგებით მტრიალ ალს, რომელსაც თან სდევდა საშინელი ღრიანცელი და შავი კვამლის სქელი ღრუბელი; აქა-იქ თხრილებში ცვიოდა ცხელი ზეთის მსხვილი წვეთები. როდესაც რომელიმე ჯ. კაცი წამოიწევდა თხრილიდან ან ახდილ ალაგზედ გასვლას დააპირებდა, იგი ხვდებოდა ამ ცეცხლის ალის ორვან-ტრიალში და საზარელი ყვირილი და ღრიანცელი გაისმოდა ამ. ცეცხლისაგან თავის დახსნისათვის ერთად ერთი საშუალება იყო—უკან გაქცევა. ასეც იქცეოდენ ცეცხლისმფრქვევის ალისაგან გადარჩენილი ჯ. კაცები.

წარმოიდგინეთ 9 საჟენის სიგრძის ალის ნაკადი, რომელიც თავის მიმართულებას ისევე იცვლიდა, როგორც წყალი სახანძარო მილის გადანაცვლების მიხედვით. დაბოლოს ამას მიეჩვივენ ჯ. კაცები. აღმოჩნდა, რომ ალი, გაზთან შედარებით, ადამიანისათვის არ იყო სახიფათო თხრილის ძირში, და თუ კაცი შიგ გაწვება, მხოლოდ მისი თავი ერთხანობად განიცდიდა საშინელ სიცხეს, რის შემდეგ ხიფათი აცილებული იქნებოდა და უკვე მას შეეძლო ესროლა იმისთვის, ვინც ამ გვარ შეწუხებას აყენებდა. ცეცხლისმფრქვევის წინაალმდეგ მოკავშირეთ გამოიმუშავეს ამ გვარი წესი: „თუ შესაძლოა, ცეცხლმფრქვევით შეიარაღებული კაცი მოჰკალი იმ დრომდე, სანამ იგი თავის მანქანის მოქმედების მანძილამდე მოასწრებს მისვლას. თუ ეგ ვერ მოახერხე, შეაფარე ცეცხლისაგან თავი და შემდეგ მოჰკალი იგი“. გერმანელები ხმარობდენ პატარა და დიდ ცეცხლმფრქვევებს. პატარა ცეცხლი მოქმედებს 14—17 მეტრის მანძილით და არა უმეტეს ერთი წუთის განმავლობაში. დიდი ცეცხლმფრქვევი 26—34 მეტრის მანძილით მოქმედებს და არა უმეტეს ერთი-ორი წუთის განმავლობაში. ვინაიდან ამ ხელსაწყოთი მოქმედება, მხოლოდ ახლო მანძილით და მოკლე ხნით შეიძლება და ამავე დროს მის მდებარეობას ადვილად ამჩნევდენ, ამიტომ მათი მოქმედება წარსულში ძალიან შეზღუდული იყო.

შედგენილება იმ ზეთებისა, რომელიც ცეცხლმფრქვევებში იხმარებოდა, დრო და დრო იცვლებოდა, მხოლოდ იგი მუდამ შეიცავდა ნარევს ამქროლ და მძიმე, ე. ი. კეროსინის ან მინერალ ნაკლებად ამქრო—ზეთებს.

ბრძოლის ველზედ ამ აპარატების ხელახლა გატენა შეუძლებელი იყო, რის გამო პირველ ცეცხლის გაფრქვევის შემდეგ, მთელი ვითარება დასრულებულად უნდა ჩათვლილიყო და ამ აპარატებით მომქმედი პირნი მოწინაალმდეგეს უნდა ჩავარნოდენ ხელში.

და ბოლოს უნდა ღინიშნოს, რომ ცეცხლისმფრქვევის მოხმარება იყო ერთი უდიდესი შეცდომა სხვა აღმოჩენათა შორის, როგორც ისეთი, რომელმაც იმედები არ გაამართლა.

გ. ბ—შვილი.

# მეცნიერება და ტექნიკა

## რადიო მატარებლები.

წინა წერილში ჩვენ ვწერდით საერთოდ ახალი მიხწევების შესახებ რადიო ტეხნიკის დარგში და ავღნიშნეთ უმავთულო-მავთულიანი ტელეფონის შემოღება. საერთოდ ტელეგრაფსა და რადიო ტელეგრაფში ამ უკანასკნელ ხანებში დიდ მიხწევებს აქვს ადგილი. ტელეგრაფში მაგალითად დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ; საფრანგეთში მიახწიეს ტელეგრაფის საშვალებით არა მარტო სიტყვების, არამედ თვით დეპეშის გამგზავნის ხელთნაწერის და სურათის გადაცემასაც. ეს უდიდესი ნაბიჯია წინ ტელეგრაფის განვითარების ისტორიაში. საფრანგეთის საზოგადოება დიდი ზეიმით შეხვდა ამ გამოგონებას. არა ნაკლები მნიშვნელოვანია ამაზე მატარებლის ვაგონებში მიმღებ და გადამცემ რადიო სადგურების მოწყობა. მოძრავ მატარებლებთან კავშირის დაჭერის პრობლემა ცდების საზღვრებიდან უკვე გამოდის გერმანიაში და ფართე ხმარებაში შედის. ალბათ შორს არ იქნება ის დრო, როდესაც მატარებლის რადიო სადგურები ფართედ შემოვლენ ხმარებაში, გერმანიაში მაგალითად ბერლინ-გამბურგის სარკინის გზო ხაზზე მოძრავი ჩქარი მატარებლები უკვე არიან მოწყობილი ასეთი რადიო სადგურებით. მატარებლის თითეულ ვაგონს აქვს განსაკუთრებული ანტენა და შიგ კი მოთავსებულია ტელეფონის აპარატი. ტეხნიკური ამოცანა ისე კარგად არის შესრულებული, რომ საქმე პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენებულად უნდა ჩაითვალოს. რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ შემთხვევაში წინა წერილში ჩვენს მიერ აღნიშნულ უმავთულო-მავთულიან ტელეფონს. პირდაპირ უშუალოდ შეიძლება ამ დროს, ასეთი რადიო სადგურების საშუალებით მატარებლებიდან კავშირი დაიჭირო რომელიმე ქალაქის ტელეფონის სადგურთან და აქედან კი კერძო აბონენტთან. სარგებლიანობის თვალსაზრისით თუ შევხედავთ ამ მიხწევას, ის ბევრ რამეს იძლევა. პირველად ყოველისა მგზავრს შეუძლია ყოველ წუთს აცნობოს თავის ოჯახს თავისი ჯანმრთელობის და მოგზაურობის შესახებ. მეორე მხრივ მას დიდი სარგებლობა მოაქვს მატარებლების წესიერი მოძრაობის საქმეში. ამ შემთხვევაში მატარებლები ყოველმხრივ უზრუნველყოფილი არიან ურთიერთ დაჯახებისა და სხვა რაიმე საშიშროებისაგან.

შეიხ

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.